ეჰა, ჩემო ოცნებავ

ეჰა, ჩემო ოცნებავ, კვლავ რად წარმომედგინე
და დასი მცნობთ ჩვენებათ უბრალოდ რად მომფინე?
რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა, დ
ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატკბობელთა,
რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ დამითრგუნა
და გლახ მე მარად მტირალს მცირედიც არ მიბრუნა.
ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხრვანი:
წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ დამქროლე
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.
გვედრებ, ნუღა მშორდები, განმიგრძე სიხარული,
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული.